



შპს “ერის-აუდიტი”

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს “დეილი”
(ს/კ406088638)

თბილისი

2021



შპს „ერის-აუდიტი“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „დეილი“

ს ა რ ჩ ე ვ ი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	-----	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წელი	-----	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-----	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წელი	-----	10
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ 2020 წელი	-----	11
წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	-----	12
მმართველობითი ანგარიშგება	-----	20
დასკვნა მმართველობით ანგარიშგებაზე	-----	24



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში
შპს „დეილი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „დეილის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალურ ანგარიშებს 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ასევე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპების მოკლე აღწერილობის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების ინდივიდუალურ მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიასგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. მმართველობით ანგარიშში მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ. ჩვენი დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას არ გამოვხატავთ. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ცოდნის არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიას მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიას ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიას ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, იმავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიკაციას ვუკეთებთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

- ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის თუ საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიას აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. პასუხისმგებლობა აუდიტორულ დასკვნაზე გვეკისრება მხოლოდ ჩვენ.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს “ერის-აუდიტი”-ს

(აუდიტორული ფირმის ინდ. სარეგისტრაციო #SARAS-F-596572)


დირექტორი: ლ.ხოფერია

(ინდ. სარეგისტრაციო #SARAS-A-581044)



გარიგების პარტნიორი: ე.ოკუჯავა

(ინდ. სარეგისტრაციო # SARAS-A-629682)



თბილისი საქართველო

20 სექტემბერი 2021 წ

შპს „დეილი“ (ს/კ406088638)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2020	2019
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	90 225 705	60 087 286
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	- 80 091 278	- 51 913 350
სულ ამონაგები	10 134 427	8 173 936
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12 363 563	5 679 697
საოპერაციო და კომერციული ხარჯები	- 14 374 712	- 9 948 252
ადმინისტრაციული ხარჯები	- 1 885 118	- 1 115 589
სხვა ხარჯები	- 390 351	- 192 782
საოპერაციო მოგება	5 847 809	2 597 010
საპროცენტო ხარჯი	- 414 619	- 225 689
კურსთაშორის სხვაობა	- 7 067	- 5 502
ცვეთა და ამორტიზაცია	- 1 642 004	- 877 817
სხვა არასაოპერაციო შედეგი	- 299 352	- 60 391
შედეგი გადასახადებამდე	3 484 767	1 427 611

დამტკიცებულია და მენეჯმენტის მიერ ხელმოწერილია 2021 წლის 20 სექტემბერი

დირექტორი დავით კუხალაშვილი




ფინანსური მენეჯერი აკაკი ბერაია



2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
	ფული და ფულის ეკვივალენტები	554 914	457 918
	ფინანსური ინსტრუმენტი		
	სავაჭრო მოთხოვნები	2 150 341	907 205
	სხვა მოთხოვნები		
	მოთხოვნები პერსონალის მიმართ	7 953	4 455
	მოთხოვნები მენეჯმენტის მიმართ		
	მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები		
	მოკლევადიანი მოთხოვნები საწარმოს პარტნიორების მიმართ		
	გადახდილი ავანსები	916 224	320 774
	წინასწარ გადახდილი გადასახადები	574 438	460 361
	სასაქონლო მარაგები	11 514 020	7 217 374
	წინასწარ გაწეული ხარჯები		
	მისაღები დივიდენდები		
	მისაღები პროცენტები		
	სხვა მიმდინარე აქტივები		
სულ მიმდინარე აქტივები		15 717 890	9 368 087
გრძელვადიანი აქტივები			
	ძირითადი საშუალებები	9 281 287	4 892 973
	ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები		
	სალიზინგო მოთხოვნები		
	ინვესტიციები შვილობილ საწარმოში		
	საინვესტიციო ქონება		
	არამატერიალური აქტივები	308 293	265 864
	ბიოლოგიური აქტივები		
	სალიზინგო მოთხოვნები		
	გრძელვადიანი მოთხოვნები საწარმოს პარტნიორების მიმართ		
	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		
	გადავადებული საგადასახადო აქტივი		
	სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ გრძელვადიანი აქტივები		9 589 580	5 158 837
სულ აქტივები		25 307 470	14 526 924
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
	სავაჭრო ვალდებულებები	17 645 608	9 831 074

	მიღებული ავანსები	2 738	14 030
	გადასახდელი ხელფასები	452 557	297 200
	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		
	მოკლევადიანი სესხები	1 999 368	1 994 734
	საგადასახადო ვალდებულებები		
	გადასახდელი პროცენტები		
	გადასახდელი დივიდენდები		
	ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები		
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	32 402	16 839
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20 132 673	12 153 877
გრძელვადიანი ვალდებულებები			
	გრძელვადიანი ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები		
	ფინანსური ინსტრუმენტების ვალდებულება		
	სალიზინგო ვალდებულებები		
	გრძელვადიანი სესხები	1 201 732	1 000 000
	გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		
	საპენსიო ფონდები		
	სხვა ფონდები		
	გადავადებული შემოსავალი		
	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 201 732	1 000 000
სულ ვალდებულებები		21 334 405	13 153 877
კაპიტალი			
	სააქციო კაპიტალი		
	საემისიო კაპიტალი		
	საწესდებო კაპიტალი	985 087	1 869 834
	გაუნაწილებელი მოგება		
	მიმდინარე წლის მოგება	3 484 767	1 427 611
	მიმდინარე წლის ზარალი		
	დაგროვილი ზარალი	- 496 789	- 1 924 398
	გადაფასების რეზერვი		
	არამაკონტროლებელი წილი		
	სხვა რეზერვი და დაფინანსება		
სულ კაპიტალი		3 973 065	1 373 047
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		25 307 470	14 526 924

დამტკიცებულია და მენეჯმენტის მიერ ხელმოწერილია 2021 წლის 20 სექტემბერი

დირექტორი **დავით კუხალაშვილი**




ფინანსური მენეჯერი **აკაკი ბერაია**



2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2020	2019
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი	457 918	319 943
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	105 616 228	70 576 189
სხვა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	10 880 117	4 486 549
იჯარაზე გადახდილი ფულადი სახსრები	- 4 615 058	- 3 263 338
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	- 91 249 986	- 59 968 944
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	- 5 073 867	- 3 324 781
სხვა ფულადი სახსრების გასვლა (საოპერაციო)	- 6 428 566	- 4 955 903
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	9 128 868	3 549 772
ძირითადი საშუალების შეძენისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	- 7 524 385	- 3 655 732
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	17 050	350 000
სხვა ფულადი სახსრების გასვლა (საინვესტიციო)	- 421 168	- 264 638
სულ საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	- 7 928 503	- 3 570 370
კრედიტის აღება	7 608 450	12 500 000
კრედიტის დაფარვა	- 7 402 085	- 11 458 299
საპროცენტო ხარჯი	- 414 619	- 217 635
კაპიტალის ცვლილება	- 884 747	- 659 751
სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	- 1 093 001	164 315
სავალუტო კურსის ზეგავლენა ფულად სახსრებზე	- 10 368	- 5 742
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი	554 914	457 918

დამტკიცებულია და მენეჯმენტის მიერ ხელმოწერილია 2021 წლის 20 სექტემბერი

დირექტორი **დავით კუხალაშვილი**



ფინანსური მენეჯერი **აკაკი ბერაია**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	მიმდინარე წლის მოგება	მიმდინარე წლის ზარალი	გაუნაწილებელი მოგება	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	2 529 585.00	0.00	-524 645.09	0.00	-1 399 544.00	605 395.91
კაპიტალის გაზრდა						
კაპიტალის შემცირება	-659 750.60					
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		1 427 611.00			-1 924 398.00	
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი						
წინა წლის მოგებით ზარალის შემცირება						
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	1 869 834.40	1 427 611.00	0.00	0.00	-1 924 398.00	1 373 047.40
კაპიტალის გაზრდა						
კაპიტალის შემცირება	-884 746.64					
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		3,484,767				
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი						
წინა წლის მოგებით ზარალის შემცირება					-496,789.00	
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	985 088	3 484 767	0.00	0.00	-496 789	3 973 065

დამტკიცებულია და მენეჯმენტის მიერ ხელმოწერილია 2021 წლის 20 სექტემბერი

დირექტორი
დავით კუხალაშვილი





ფინანსური მენეჯერი

აკაკი ბერაია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს „დეილი“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2013 წლის 18 მარტს, მისი იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი N17, თბილისი, საქართველო. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 406088638.

კომპანიის წილის მფლობელები არიან:

- დავით კუხალაშვილი - 51.5% (დირექტორი)
- ზურაბ ზაქარიაძე - 37%
- რუსუდან მაისურაძე - 10%
- მარინა პეტრიაშვილი - 1.5%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქონლის საცალო ვაჭრობა, მაღაზიათა ქსელის მეშვეობით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველი

ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განხილულია ქვემოთ, რაც თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. საწარმოს არა აქვს განზრახული ლიკვიდაციის პროცესში შესვლა ან საქონლის ან მომსახურების ბაზარზე მიწოდების შეწყვეტა.

2.1 მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

2.2 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

მუხლები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში - ლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონვერტირდება ლარში პერიოდის ბოლო დღეს არსებული ოფიციალური კურსით (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით 1 აშშ დოლარი შეადგენდა 3,2766 ლარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბერს 2,8677 ლარს.

2.3 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. ყოველი პერიოდის ბოლოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება იმის დასადგენად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება მოთხოვნის თანხების ვერ დაფარვისა. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს მაშინ გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება ზარალში. სავაჭრო მოთხოვნები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
მოთხოვნა კომერციული მომწოდებლების მიმართ	1 978 665.26	817 663
მოთხოვნა კორპორატიული მომწოდებლების მიმართ	6 270.39	2 345.71
მოთხოვნა ადმინისტრაციული მომწოდებლების მიმართ	51 009.90	21 307.63
მოთხოვნა ბანკების მიმართ	114 395.76	89 542
სულ	2 150 341.31	907 204.57

გადახდილი ავანსები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
კომერციულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	106 977.81	8 792.55
ადმინისტრაციულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	623 842.33	85 452.14
კომუნალური მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	2412.09
მეიჯარეებზე გადახდილი ავანსები	185 403.91	224 116.95
სულ	916 224.05	320 773.73

2.5 სასაქონლო მარაგები,

სასაქონლო მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და გაყიდვის ფასის შემცირებული რეალიზაციის ხარჯებით შეფასებით ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების შეფასების მეთოდია FIFO მეთოდი. ყოველი პერიოდის ბოლოს სასაქონლო მარაგები მოწმდება გაუფასურებაზე. იმ შემთხვევაში თუ გაუფასურების მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ზარალში. სასაქონლო მარაგები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
შემენილი პროდუქცია	11 401 373.60	7 141 289.95
ნედლეული	30 854.63	43 509.60
მზა პროდუქცია	81 791.27	32 574.07
სულ	11 514 019.50	7 217 373.62

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულება შემცირებული ცვეთით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების იმ ადგილამდე და იმ მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რაც აუცილებელია აქტივების მენეჯმენტის მიერ სასურველი ოპერირებისათვის.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია საწარმოს მენეჯმენტის მიერ და შეადგენს 5 წელს.

ძირითადი საშუალებები 2020 და 2019 წლებში წარდგენილია შემდეგნაირად:

2020					
	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება
მანქანა-დანადგარები	2 728 936.04	2 570 276.44	95 454.03	862 504.37	4 341 254.08
სატრანსპორტო საშუალებები	104 819.29	215 542.08	29 496.48	41 308.62	249 556.27
ოფისის აღჭურვილობა	577 659.56	513 189.39		206 045.31	884 803.64
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1014032.58	1820177.34		368 742.29	2 465 467.63
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	467526.24	1 175 605.86	150 574.41	152 352.00	1 340 205.69
სულ	4 892 973.71	6 294 791.11	275 524.92	1 630 952.59	9 281 287.31
2019					
	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება
მანქანა-დანადგარები	1 529 388.41	1 797 710.87	121 703.62	476 459.62	2 728 936.04
სატრანსპორტო საშუალებები	97 428.56	131 399.27	70 349.16	53 659.38	104 819.29
ოფისის აღჭურვილობა	424 439.19	322 132.04	36 616.80	13 2294.87	577 659.56
zzავეჯი და სხვა ინვენტარი	583 285.59	635 849.38	33 931.43	171 170.96	1 014 032.58
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	22 296.78	479 411.34		34 181.88	467 526.24
სულ	2 656 838.53	3 366 502.90	262 601.01	867 766.71	4 892 973.71

2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულების თანხა შემცირებული ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება მათი სასარგებლო გამოყენების პერიოდის პროპორციულად. ხოლო იმ არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა უცნობია ამორტიზაცია არ ერიცხება. საწარმოს არამატერიალური აქტივები 2020 და 2019 წლებში წარდგენილია შემდეგნაირად:

2020					
	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ამორტიზაცია	საბოლოო საბალანსო ღირებულება
ლიცენზიები	265 864.03	42 428.72			308 292.75
სულ	265864,03	42428.72			308 292.75

2019					
	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ამორტიზაცია	ნარჩენი ღირ-ბა
ლიცენზიები	189 062.93	76 801.10			265 864.03
სულ	189 062.93	76 801.10			265 864.03

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც კრედიტორი შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრებ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ხოლო სავაჭრო ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც გაიანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ვალდებულებები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
კომერციული მომწოდებლების მიმართ ვალდებულება	17 057 997.65	9 356 859.27
ადმინისტრაციული მომწოდებლების მიმართ ვალდებულება	152 301.77	236 436.2
კომუნალური მომწოდებლების მიმართ ვალდებულება	56 108.19	49 109.56
მეიჯარეების მიმართ ვალდებულებები	379 200.24	188 196.41
სულ	17 645 607.85	9 831 074.08

2.9 სესხები

სასესხო ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და ჩაირთვება ფინანსურ ხარჯებში. სასესხო ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება, თუ კომპანიას აქვს უპირობო ვალდებულება გადაიხადოს სესხი საანგარიშო პერიოდიდან არაუგვიანეს 12 თვისა. სესხები წარდგენილია შემდეგნაირად:

		31.12.2020	31.12.2019
სესხი მოკლევადიანი	საქართველოს ბანკი	1 999 367.99	1 994 734.15
სესხი გრძელვადიანი	საქართველოს ბანკი	1 201 731.94	1 000 000
სულ		3 201 099.93	2 994 734.15

2.10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. მისი ცვლილება ხდება მხოლოდ პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალმა განიცადა ცვლილებები და წარდგენილია შემდეგნაირად:

2020	საწყისი	გაზრდა	შემცირება	საბოლოო
საწესდებო კაპიტალი	1 869 834.40		884 747.04	985 087.36

2019	საწყისი	გაზრდა	შემცირება	საბოლოო
საწესდებო კაპიტალი	2 529 585		659 750.6	1 869 834.40

2.11 ამონაგები

ამონაგები აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს საქონლის რეალიზაციის შედეგად მისაღებ თანხებს ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გაუთვალისწინებლად. კომპანია აღიარებს ამონაგებს იმ შემთხვევაში თუ ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია და მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

მომსახურეობის რეალიზაცია აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში როდესაც მომსახურეობა გაიწევა კომპანიის მიერ. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები წარმოიშობა როდესაც პარტნიორზე მოგების განაწილება ხდება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება არაეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები და სხვა ობიექტები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

2.13 დამატებული ღირებულების გადასახადი

ბიუჯეტში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) წარმოიშობა კომპანიის მიერ საქონლის და მომსახურეობის მიწოდებისას. ვინაიდან კომპანიას უფლება აქვს ჩასათვლელო დღგ-თი შეამციროს გადასახდელი დღგ-ს თანხა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დღგ-ს გადასახდელი ან ჩასათვლელო თანხა აღირიცხება მათ შორის სხვაობის თანხით.

2.14 ქონების გადასახადი

კომპანია იხდის ქონების გადასახადს ქონების წლიური საშუალო ნარჩენი ღირებულების საქართველოს საგადასახადო კოდექსითადადგენილი განაკვეთით -1%.

2.15 დივიდენდის განაწილება

დივიდენდის განაწილება აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში როდესაც პარტნიორის მიერ მიიღება გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე. საწარმოში დივიდენდი ჯერ არ განაწილებულა.

2.16 მსს ფასს პირველადი გამოყენება

კომპანიის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას რომელიც კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). შესაბამისად კომპანიის ამ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. კომპანია აღნიშნულ თარიღამდე არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას.

2.17 ურთიერთდამოკიდებული პირები

საწარმოს ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი პარტნიორები და დირექტორები.

შპს დეილის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი პარტნიორები და დირექტორი

საწარმოს ჯგუფის მიერ დამოკიდებულ პირებთან განხორციელებული აქვს ტრანზაქციები:

	2020	2019
გაცემული ხელფასები	0	0
დირექტორისგან მიღებული საიჯარო მომსახურება	750	1500
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	0	0
სულ	750	1 500

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მენეჯმენტი

კომპანია ოპერირებისას აწყდება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო ფასის რისკი

ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკას, ასევე რისკების მართვის პროცესებსა და შეფასების მეთოდებს. დამატებითი ინფორმაცია ხსენებული რისკების ოდენობასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც იყენებს კომპანია და რომელთაგანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის რისკი, განისაზღვრება შემდეგნაირად:

- სავაჭრო მოთხოვნები
- ფული ბანკში
- სავაჭრო ვალდებულებები
- სესხები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე ვერ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანიას ძირითადად საკრედიტო რისკი გააჩნია კრედიტში გაყიდვებიდან.

საკრედიტო რისკი ასევე წარმოიშობა ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან, ასევე საბანკო დეპოზიტებიდან.

საბაზრო ფასის რისკი

საბაზრო ფასის რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის რისკისა და სავალუტო გაცვლის კურსის რისკისგან.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

მენეჯმენტი ახორციელებს კოვიდ 19-ის პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას ნებისმიერი ეფექტის შესამსუბუქებლად.

სხვა მნიშვნელოვან მოვლენას რომლის განმარტებაც საჭირო იქნებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი დავით კუხალაშვილი



ფინანსური მენეჯერი აკაკი ბერაია
20.09.2021

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა **შპს „დეილი“ (ს/კ406088638)**

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნასთან ერთად საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები

1.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დეილი“ დაარსდა 2013 წელს, თავდაპირველად „პრაიმ მარკეტ გრუპის“ სახელით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წელს კომპანიას სახელი გადაერქვა და ფუნქციონირებს დეილის სახელით. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო მაღაზიებით ვაჭრობა. კომპანიის იურიდიული მისამართია: # 17 კახეთის გზატკეცილი, თბილისი, საქართველო. კომპანია 2020 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 102 მაღაზიით რომლებიდანაც 1 მდებარეობს თბილისში, 4 გურიაში, 34 აჭარაში, 48 იმერეთში, 11 ქართლში, 3 რაჭა-ლეჩხუმში და 1 სამეგრელოში.

2018 წლის მარტში კომპანიამ გააფორმა სუბ ფრანჩაიზის ხელშეკრულება Spar-ის ბრენდის ფრანჩაიზორთან და 2020 წლის ბოლო მდგომარეობით ახორციელებდა Spar-ის ბრენდით 48 მაღაზიის ფუნქციონირებას ძირითადად ქალაქ ქუთაისში, ბათუმში და გორში.

2020 წლის ბოლოს ბოლოსთვის კომპანიაში დასაქმებულია 1050-მდე თანამშრომელი. დღეისათვის კომპანია „დეილი“ წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერს დასავლეთ საქართველოს საცალო ვაჭრობის ბაზარზე. კომპანია წარმატებით უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებას ახალი და უსაფრთხო პროდუქციის დაბალ ფასად შეთავაზების გზით.

1.2. შედეგები და მდგომარეობის ანალიზი

კომპანია ინტენსიურად იზრდებოდა ბოლო წლებში. მაღაზიების რაოდენობა 2015 წლის ბოლოს - 8, 2016 წლის ბოლოს - 13, 2017 წლის ბოლოს - 23, 2018 წლის ბოლოს - 41, 2019 წლის ბოლო 57 და უკვე 2020 წლის ბოლოს 102.

მაღაზიების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა როგორც გრძელვადიან აქტივებში ინვესტირებული თანხები, ასევე კომპანიის შემოსავლები:

ძირითადი საშუალებები 2018 – 2 652 056

ძირითადი საშუალებები 2019 – 4 892 973


ძირითადი საშუალებები 2020 – 9 281 287

შემოსავლები 2018 – 37 074 274

შემოსავლები 2019 – 65 766 983

1.3. კომპანიის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მაღაზიების რაოდენობის, ძირითადი საშუალებებში ინვესტირებული თანხებისა და თანამშრომელთა რაოდენობის გარდა, კომპანია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს საოპერაციო ეფექტურობას, რომელსაც შემოსავლებში დანახარჯების წილებზე დაკვირვებითა და დანახარჯების წყაროების კონტროლით ახორციელებს. აღნიშნულის გამო 2020 წელს წინა წლებთან შედარებით კომპანიამ გაზარდა საოპერაციო მოგების თანხაც და პროცენტიც.



1.4. კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები

კომპანიის დაარსების დღიდან „დეილის“ ძირითად საქმიანობას საცალო ვაჭრობის ქსელის განვითარება და მართვა წარმოადგენს. კომპანიის სტრატეგია არის მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის ყოველდღიური საჭიროების პროდუქტების, და გამომცხვარი პროდუქტის საუკეთესო ფასად შეთავაზება მათ საცხოვრებელ სახლთან ახლოს. აღნიშნული სიახლოვე და შეთავაზებული ასორტიმენტი მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას.

კომპანია აქტიურად აგრძელებს საცალო ქსელის განვითარებას იმერეთში და აჭარაში. ასევე იგეგმება ქსელის გაფართოვება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. 2020 წელს დაგეგმატა ახალი რეგიონი - რაჭა-ლეჩხუმი. მსოფლიო ტრენდებიდან და დასახული მიზნებიდან გამომდინარე კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას მისცემს კომპანიას მეტი კომფორტი შეუქმნას საკუთარ მომხმარებელს.

1.5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ გამოუშვია და არც შეუძენია საკუთარი აქციები მიმდინარე სააღრიცხვო წელს.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით

უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

კომპანია მხოლოდ საქართველოში საქმიანობს და შესაბამისად მის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორიცაა : ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა.შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი ფინანსური დირექტორის, დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრების მხრიდან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2.2. საკანონმდებლო რისკი

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმ გვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

2.3. საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია შპს „დეილიც“ დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე ყოველკვირეულად განიხილება ტოპ მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველ თვის რეპორტირებისას ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

2.4. საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება. ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. კომპანია ძირითადად საცალო ვაჭრობით არის დაკავებული, შესაბამისად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მითიგირებულია.

2.5. ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს

სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2018 და 2019 წლის აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან სესხები აღებული აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას სასესხო ვალდებულებები ღარშია, შესაბამისად სავალუტო რისკი მინიმუმირებულია.


დირექტორი

დავით კუხალაშვილი



ფინანსური მენეჯერი აკაკი ბერაია

20.09.2021



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს „დეილი“-ს (შემდგომში „საწარმო“) 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე. საწარმოს ხელმძღვანელობამ ასევე მოამზადა და წარმოადგინა მმართველობითი ანგარიშგება. მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული განცხადებების ნაწილი წარმოადგენს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება კომპანიისა და მთლიანი ჯგუფის გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, ბიზნეს სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას. მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე და მის გონივრულობაზე პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვედნილობაზე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. ჩვენი აზრით მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

შპს "ეგრის-აუდიტი"-ს

(აუდიტორული ფირმის ინდ. სარეგისტრაციო # SARAS-F-596572)

დირექტორი: ლ.ხოფერია

(ინდ. სარეგისტრაციო # SARAS-A-581044)



გარიგების პარტნიორი: ე.ოკუჯავა

(ინდ. სარეგისტრაციო # SARAS-A-629682)

თბილისი საქართველო

20 სექტემბერი 2021 წ